დანართი №1

2014 წლის 27 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ სტ. საპრ. №1–14 (CMR 140102671) ხელშეკრულებაზე

27 08 2014წ.

თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის **ვაჟა ფანჩულიძის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ **და** შპს **საპროექტო – საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ტალი ტალიაშვილის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2014 წლის 25 აგვისტოს №5257–2 მოხსენებითი ბარათის, 26 აგვისტოს №5300–2 სამსახურებრივი ბარათისა და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ. საპრ. №1–14 ხელშეკრულების პირველ მუხლში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების საგანი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა – სტეფანწმინდა – ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზაზე (დარიალის ხეობა) განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პირველ ეტაპზე განსახორციელებელი ავტოტრანსპორტის დროებითი განვლადობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაუდებელი სამუშაოებისათვის, საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV 71320000) – შემდგომში მომსახურება“.

2. წინამდებარე დანართის პრეამბულაში აღნიშნულ მოხსენებით ბარათში მითითებული საფუძვლიდან გამომდინარე, ხელშეკრულების საპროექტო მომსახურების ღირებულების დაზუსტების შედეგად, სახელშეკრულებო ღირებულება მცირდება და შეადგენს 77 937.26 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 26 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, რაც იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების ფასი. შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. წინამდებარე დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა ფანჩულიძე	მიმწოდებელი შპს საპროექტო – საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ დირექტორი ტალი ტალიაშვილი